Question **1**

ɔt yet answered

Marked out of 1.00

სახელმწიფო სპეციალური ფონდები არის მოსახლეობის კონკრეტული სოციალური ჯგუფების სასარგებლოდ:

Select one:

- a. ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) გადანაწილების მეთოდი
- b. ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) წარმოების მეთოდი
- c. ეროვნული სიმდიდრის სამეურნეო ბრუნვაში მოქცევის მეთოდი
- d. ეროვნული ეკონომიკის ზრდის სტიმულირების მეთოდი

Question **2**

Not yet answered

Marked out of 1.00

კომერციული ორგანიზაციის ფინანსური ურთიერთობების ერთობლიობა არ მოიცავს:

Select one:

- a. კომერციულ ორგანიზაციასა და არაკომერციულ ორგანიზაციათა სისტემას შორის დამყარებული ურთიერთობები ბანკებში ფულის შენახვის, სესხის მიღებისა და დაფარვის, კრედიტის პროცენტის გადახდის, საბანკო მომსახურების პროცესში
- b. ურთიერთობებს კომერციულ ორგანიზაციასა და მის ცალკეულ მუშაკებს შორის, რომლებიც მყარდება შემოსავლების განაწილებისა და გამოყენების, ობლიგაციების, აქციების გამოშვებისა და განთავსების, აქციების დივიდენდებისა და ობლიგაციების პროცენტების გადახდისას
- c. ურთიერთობებს კომერციულ ორგანიზაციასა და სახელმწიფოს საფინანსო სისტემას შორის, რომლებიც მყარდება გადასახადებისა და სხვა გადასახდელების გადახდისას ბიუჯეტში, არასაბიუჯეტო ფონდების ფორმირებისას, ბიუჯეტიდან ასიგნებების მიღებისას, საგადასახადო შეღავათების მიცემისას, საჯარიმო სანქციების გამოყენებისას
- d. კომერციულ ორგანიზაციასა და სადაზღვევო კომპანიებს შორის ქონების, სხვადასხვა კატეგორიის მუშაკების, სამეწარმეო და კომერციული რისკის დაზღვევის პროცესში დამყარებულ ურთიერთობებს

Question **3**

Not yet answered

Marked out of 1.00

საქართველოში კომერციული ბანკის ფუნქციონირების დასაწყებად საჭიროა:

Select one:

- a. მინიმალური საწესდებო კაპიტალი და საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზია
- b. საკუთარი კაპიტალი და მოზიდული სახსრები
- c. მინიმალური საწესდებო კაპიტალი
- d. საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზია

Question **4**

Not yet answered

Marked out of 1.00

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ მიღებული გრანტი:

Select one:

- a. თავისუფლდება მხოლოდ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან
- b. თავისუფლდება მოგების და საშემოსავლო გადასახადებით დაბეგვრისაგან
- c. თავისუფლდება მხოლოდ მოგების გადასახადით დაბეგვრისგან
- d. იბეგრება მხოლოდ საშემოსავლო გადასახდით

Question **5**

Not yet answered

Marked out of 1.00

საოჯახო მეურნეობის ბიუჯეტის შედგენის პროცესის ფაზებს არ მიეკუთვნება:

Select one:

- a. საინვესტიციო ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება
- b. ხარჯების დაგეგმვა
- c. მოსალოდნელი შემოსავლის წყაროების დადგენა
- d. ფინანსური მიზნების დასახვა

Question **6**

Not yet answered

Marked out of 1.00

საერთაშორისო ფინანსები არის:

Select one:

- a. საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების ერთობლიობა
- b. ფინანსური რესურსების ფონდი, რომელიც წარმოიქმნება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების საფუძველზე და გამოიყენება მსოფლიო დონეზე საზოგადოებრივი კვლავწარმოების უწყვეტობისა და რენტაბელობის უზრუნველსაყოფად და საერთაშორისო მნიშვნელობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად
- c. რეგიონული საფინანსო საკრედიტო და სხვა საერთაშორისო მნიშვნელობის ეკონომიკური ორგანიზაციების ერთობლიობა
- d. ბანკების, საფონდო და სავალუტო ბირჟების ერთობლიობა

Question **7**

Not yet answered

Marked out of 1.00

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ძირითად მიზნებსა და ამოცანებში არ შედის:

Select one:

- a. ვალუტათა სტაბილიზების უზრუნველყოფა
- b. საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველყოფა
- c. სახელმწიფოთაშორისი სავალუტო-საფინანსო და საკრედიტო რეგულირება
- d. საერთო მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება

Time left 0:43:44

Question 8

Not yet answered

Marked out of 1.00

ფინანსური ურთიერთობები არის ფულადი ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია:

Select one:

- a. ფულადი სახსრების ფონდების გამოყენებასთან
- b. ფულადი სახსრების ფონდების შექმნასთან, განაწილება-გადანაწილებასა და გამოყენებასთან
- c. საქონლის (მომსახურების) ღირებულების ანაზღაურებასთან
- d. ფულადი სახსრების ფონდების ფორმირებასთან

Question 9

Not yet answered

Marked out of 1.00

საფინანსო სისტემის სფეროს არ წარმოადგენს:

Select one:

- a. სახელმწიფო ფინანსები
- b. საოჯახო მეურნეობების ფინანსები
- c. საკუთრების სხვადასხვა ფორმის მქონე საწარმოთა ფინანსები
- d. ტრანსეროვნული კორპორაციების ფინანსები

Question **10**

Not yet answered

Marked out of 1.00

ფინანსური პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, არის:

Select one:

- a. სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ფინანსური ურთიერთობების გამოყენების მიზნით შემუშავებული და განხორციელებული ღონისძიებების ერთობლიობა
- b. საწარმოს შიდა ფინანსური ურთიერთობების სისტემა
- c. სახელმწიფოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის წესი და რეგლამენტი
- d. საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვა

Question **11**

Not yet answered

Marked out of 1.00

ფინანსების სტრატეგიული მართვის ძირითად ინსტრუმენტსა და მეთოდს წარმოადგენს:

Select one:

- a. ფინანსური დაგეგმვა
- b. ფინანსური ანგარიშგების ანალიზი
- c. სტატისტიკური და ბუღალტრული ანგარიშგების ანალიზი
- d. სახელმწიფო სესხების გამოშვება და მათი მართვა

Question **12**

Not yet answered

Marked out of 1.00

ეკონომიკური თვალსაზრისით, გადასახადი, უწინარეს ყოვლისა, არის:

Select one:

- a. ფიზიკური და იურიდიული პირების სავალდებულო გადასახდელი
- b. სუბიექტის შემოსავლის ნაწილი, რომელიც გადაეცემა სახელმწიფოს განსაკარგავად
- c. საზოგადოების საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის კუთვნილება და შემოსავლების წყარო
- d. ფიზიკური და იურიდიული პირების ფულადი შენატანი ბიუჯეტში ან სპეციალურ სახელმწიფო ფონდში კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად

Question **13**

Not yet answered

Marked out of 1.00

ფინანსური კონტროლი, როგორც ფინანსების მართვის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი, დამახასიათებელია:

Select one:

- a. განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სფეროს ურთიერთობებისათვის
- b. მატერიალური და არამატერიალური წარმოების სფეროს ურთიერთობებისათვის
- c. მხოლოდ არამატერიალური წარმოების სფეროს ურთიერთობებისათვის
- d. მხოლოდ მატერიალური წარმოების სფეროს ურთიერთობებისათვის

Question **14**

Not yet answered

Marked out of 1.00

უნიტარულ სახელმწიფოებში საბიუჯეტო სისტემა შედგება:

Select one:

- a. ოთხი რგოლისგან
- b. ხუთი რგოლისგან
- c. სამი რგოლისგან
- d. ორი რგოლისგან

Question **15**

Not yet answered

Marked out of 1.00

იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს იურიდიული და ფიზიკური პირების სესხებისა თუ სხვა ვალდებულებების დაფარვის პასუხისმგებლობას, იგი გვევლინება:

Select one:

- a. კრედიტორის რანგში
- b. მსესხებლის რანგში
- c. მსესხებლისა და კრედიტორის რანგში
- d. გარანტის რანგში

«

»